572
1989/2

ISSN 0132—5965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

73
572/2

1989 წ. ივლისი № 7

ყოველ

პატარა გულებით, პატარა ხელებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილში, თბილისში, როგორც მტრისაგან დაპყრობილ ქალაქში, დაიბობღებოდნენ ტანკები და ჯავშნოსნები. საომრად აღჭურვილი და განლაგებული ავტომატიანი ჯარისკაცები ყოველ წამს მზად იყვნენ სროლისათვის.

ამ ტანკებმა, ჯავშნოსნებმა და ჯარისკაცებმა 9 აპრილის ღამეს თბილისში დაარბიეს — დახოცეს, დაჭრეს, გაზით მოწამლეს დიდი სახალხო მიტინგის მონაწილენი, უმთავრესად ქალები, მათ შორის მოსწავლეებიც. ჩვენმა ხალხმა საყოველთაო მრისხანებით და გაფიცვებით უპასუხა ამას. აღარ მუშაობდა ტრანსპორტი, ბევრი ქარხანა, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები. ბევრი თქვენთაგანიც აღარ დადიოდა სკოლაში. ხმამაღლა იმეორებდით იმ ლოზუნგებს, რომლებსაც გაიძახოდნენ მიტინგებზე დიდები.

თქვენ ისიც ნახეთ, ტელევიზიით მაინც, როგორ დაიტირა დედასაქართველომ მისი უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი, ბარბაროსული დაუნდობლობით ჩახოცილი შვილები. მათი ულეტის ადგილი — მთავრობის სასახლის კიბეები, რუსთაველის გამზირი, გადაფარული იყო ყვავილებით. უთუოდ ბევრმა თქვენგანმაც მიიტანა ყვავილები იქ. ქვითინებდა დიდი და პატარა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა იყო, რატომ მოხდა ასე?

ჩვენს ქვეყანაში, მთელ საბჭოთა კავშირში, ყველგან დიდი მოძრაობებია — დიდი მიტინგები, დიდი დემონსტრაციები. ადრე რომ ყველაფერს ისე მოგვაჩვენებდნენ, თითქოს ისე ვცხოვრობდით, უკეთესად აღარ შეიძლებოდა, მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა. მარტო აი, ეს ფაქტი როგორი მოსასმენია: ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, პატარა ბავშვთა სიკვდილიანობა ორნახევარჯერ მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუ ძველებურად, ჩვენი ნაკლოვანებების მიჩქმალვით გავაგრძელებდით ცხოვრებას, უარესი და უარესი მოგველოდა მომავალში.

და ხალხი აღდგა. მთელ საბჭოთა კავშირში გაისმა მოწოდებები: საჭიროა განახლება, გარდაქმნა! უნდა გარდავქმნათ ჩვენი საქმიანობა, უნდა გარდავიქმნათ ჩვენც. ჩვენ აღარ უნდა ვიქნეთ მხოლოდ ზემოდან მომავალი განკარგულებების მორჩილი აღმსრულებლები, ჩვენ თვითონ უნდა ვმონაწილეობდეთ ყოველგვარი გადაწყვეტილებების, ბრძანებების შემუშავებაში. ამ მოვლენას საჯაროობა, სახალხოობა, ანუ, საერთაშორისო სიტყვით, დემოკრატია ჰქვია. ეს საჯაროობა, დემოკრატია ისეთი ძალაა, რომელიც არავის მისცემს ტყუილის თქმის უფლებას. არავინ აღარ უნდა დაჰყვიროდეს სამსახურებში ხელქვეითებს ბატონივით; არ უნდა დაჰყვიროდეს ერთი ერი მეორეს; ყოველი ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი; ასევე — ყოველი ერი თვითონ უნდა წყვეტდეს თავის ეროვნულ საკითხებს.

მაგრამ განახლებისთვის დაწყებული ეს დიდი მოძრაობები ყველას არ მოსწონს. არ მოსწონთ, პირველ ყოვლისა, ძველი ყაიდის უფროსებს, ხელმძღვანელებს. ისინი თვითონ მშვენივრად არიან მოწყობილნი და არ უნდათ ამდაგვარი მდგომარეობის მოშლა. ისინი აკოწიწებენ ავსა და ავ ძალებს, რომლებითაც ებრძვიან, ახშობენ განახლებისათვის, გარდაქმნისათვის დაწყებულ მოძრაობებს.

აი, ამგვარი ავი ძალების მსხვერპლნი გახდნენ თბილისში 9 აპრილს გამართული დიდი სახალხო მიტინგის მონაწილენიც. მთელი ჩვენი ხალხი მოითხოვს: 9 აპრილი გამოცხადდეს ეროვნული გლოვის დღედ. ვიცით, ვგრძნობთ, რომ ამ ხალხთანა ხართ თქვენც, ჩვენო პატარა მეგობრებო, თქვენი პატარა გულებით, პატარა ხელებით. თქვენ კვლავაც და კვლავაც მიიტანთ ყვავილებს ქართველ წამებულთა დაღუპვის ადგილებზე. და მაინც ერთი სავედრებელი გვაქვს თქვენთან დიდებს: თქვენი ყველაზე საქებარი საქციელი ის იქნება — კარგად მოიქცეთ, კარგად ისწავლოთ, წუთით არ გავიწყდებოდეთ, რომ მრავალტანჯული საქართველოს შვილები ხართ.

დაღუპულთა სულებს ყველაზე მეტად ამით გაახარებთ. ისინი თვალმოუშორებლად გვიყურებენ ჩვენ.

19037

სისხლი არ უნდა განმეორდეს

გრიგოლ ჯულუხიძე

ჩვენ ვართ ბავშვები
და ზეცაში ლურჯ ბურთებს ვისვრით...
სისხლი არ უნდა განმეორდეს,
დაღვრილი სისხლი!
ანდა რუსთაველს გადაარქვით
სახელი რუსთველის,
ან რუსთაველზე ვარდთა ცეცხლი
აინთო რისთვის?
რისთვის და რატომ,
გეკითხებით,
რისთვის და რატომ?
ნაომარ თბილისს
საქართველოს ჭრილობა ზარავს...
ჩვენ ვართ ბავშვები
და უღრუბლო აპრილებს ვნატრობთ,
ხსოვნა ნათელი —
მამულისთვის შეწირულ ზვარაკს!
ჩვენ საქართველოს უკეთესი
მერმისი გვინდა,
ჩვენია ვართ თავად საქართველოს
ჯიუტი ხვალე,
შავი ურჩხული იღრინება
აპრილის ცხრიდან,
ობოლი ცრემლის ვარსკვლავები
ანათებს თვალებს.
ჩვენ ვართ ბავშვები
და ზეცაში ლურჯ ბურთებს ვისვრით,
სისხლი არ უნდა განმეორდეს,
დაღვრილი სისხლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბ. ბიბლიოთეკა

იმედა

ირინე ტალიაშვილი

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, კახეთ-ჰერეთის ხეობაში, მთის ძირად, ყოფილა ქართველთა სოფელი ვარდიანი. გარშემო ფერდობები და ხეობები თურმე სულ ვარდებით იყო აღაღანებული. „წალკოტს ჰგავდა აქაურობაო," — წერს მეისტორიე.

აი, ამ სოფლის ახლოს გადიოდა კავკასიონის დიდი კედელი, რომელიც იმიტომ შემოავლო ხალხმა კახეთ-ჰერეთის სამთავროს, რომ მტრებისაგან დაეცვა. კედლის ნანგრევები დღესაც არის შემორჩენილი, ვარდიანის ადგილას კი „მხოლოდ ნასოფლარია დარჩენილი და ეს ველივე მოოხრებულია".

ეს ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგითხროთ, შორეულ წარსულში მომხდარა. იმ დროს ვარდიანში ერთი პატარა ობოლი ბიჭი ცხოვრობდა. სახელად იმედა ერქვა. შესახედად გაჩხიკინებული, ლაბაწრუტა ბიჭი იყო, მაგრამ თანატოლებისაგან გამჭრიახი ჭკუით და გონიერებით გამოირჩეოდა. იმ წელიწადს, როდესაც იმედა ათისა გახდა, ჰერეთს თემურლენგის ლაშქარი შემოესია. ქართველების დაუმორჩილებლობით გამძვინვარებული კოჭლი სარდალი ცეცხლითა და მახვილით მოადგა „რკინის კარიბჭეს", მაგრამ კავკასიონის დიდი კედლის აღება გაუძნელდა. ამაოდ უტევდა ძელებით, ლოდსატყორცნებით, გალავანი უტეხად იდგა. ბოლოს ურჯულოებმა მაინც იმარჯვეს. მართალია, კედელი ვერ გაარღვიეს, მაგრამ ეშმაკობა იხმარეს. თემურლენგის ბრძანებით ხამი აბრეშუმის და ბამბის თოკებისაგან უზარმაზარი მოძრავი კიბე დაგრიხეს და უკუნეთ ღამეში გალავანზე გადაცოცდნენ. გალომებული თემურლენგი ვარდიანში შეიჭრა, უნდოდა ერთიანად მოესრა და გადაებუგა, მაგრამ როდესაც ტურფა, ბაღნარში ჩაფლული სოფელი იხილა, გადაიფიქრა და ასეთი ბრძანება გასცა:

— გამიმხილეთ საიდუმლო, რომელიც კავკასიონის დიდ კედელს დამანგრევინებს და შეგიწყალებთ, თუ არადა, სოფელში ყველა ყრმას ამოვჟლიტავო.

ვარდიანი გოდებამ და მწუხარებამ მოიცვა. არავის არ უნდოდა საიდუმლოს გაცემა, ბოლოს, ერთი ჯღუნა, დაფეხვილი ჯუჯა კაცი წამოდგა და ვარდიანელებს უთხრა:

— თქვე კაი ხალხო. თუ შთამომავლობა აღარ გეყოლებათ, თუ თქვენი შვილები ვეღარ გაიხარებენ, ან ეს კედელი რად გინდათ, ან ეს მშვენიერი სოფელ-ქვეყანაო.

ამის გაგონებაზე იმედა ჯუჯას მიეჭრა:

— რას ამბობ, ძიავ! მირჩევნია მომკლან, ვიდრე ჩემს შთამომავლებს გამყიდველის და მოღალატის შვილის სახელი ერქვასო, — ამაყად თქვა და ხალხს მიუბრუნდა: — თემურლენგთან წავალ და მოველაპარაკები, ისეთ რამეს ვეტყვი, ჩვენი დამორჩილების სურვილი სულ დაეკარგოსო.

მხატვარი ვაჟა ქურხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსებს, რა თქმა უნდა, არ უნდოდათ ბიჭის გაშვება, მაგრამ იმედა გაიპარა და თემურლენგს ეახლა.

მაშინ „ქვეყნის მბრძანებლისათვის“ (ასე ეძახდნენ თემურლენგს) თვალის გასწორება დანაშაულად ითვლებოდა, იმედამ კი გაბედა და თამამად შეხედა სახეში. მბრძანებელი მოიღუშა.

— გისმენ! — თქვა პირქუშად — შენ ალბათ იმისთვის მოხვედი, რომ საიდუმლო გამიმხილო.

— მბრძანებელო! — წკრიალა ხმით შესძახა იმედამ, — კავკასიონის დიდი კედლის საიდუმლო ჩემი ხალხის ერთობაში და სიმტკიცეში იმალება, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამიტომ ამ კედლის ძლევა და დანგრევა შეუძლებელია. გემუდარები, აკმარე ჩემს ხალხს სისხლისღვრა, შეიწყალე! თუ მსხვერპლის გაღება აუცილებელია, მაშინ ჩემი თავი შემომიწირავს მსხვერპლად, მე დამსაჯე, მბრძანებელო!

პატარა ბიჭის სიტყვებმა თან განარისხა, თან განაცვიფრა კოჭლი სარდალი.

— კეთილი, შვილო ჩემო! — ცბიერად აუციმციმდა თვალები. იფიქრა, იფიქრა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არ იცოდა როგორ დაესაჯა იმედა, არა!

— კავკასიონის ყველაზე მაღალ მწვერვალზე ცეცხლი დაანთეთ, ეს ბიჭი აიყვანეთ და ზედ დაწვით, რათა მთელმა საქართველომ დაინახოს, როგორ იღუპება მისი იმედიო, — ბრძანა ბოლოს.

მწვალებლები ასეც მოიქცნენ. იმედა მთაზე აიყვანეს. შებორკეს. გარს ფიჩხისა და ძეძვის მსხვილი გუდურები შემოუწყვეს და ცეცხლი წაუკიდეს. კოცონი აბრიალდა. ალი გამძვინვარდა და ბიჭს შემოენთო. იმედას სული შეეხუთა. უნდოდა ეყვირა, მიშველეთო, მაგრამ ღონე მოიკრიბა, თვალები აღაპყრო და შეჰყვირა: — დედაო ღვთისავ, მომეცი ძალა, ვაი არ დავიძახოო!..

მოულოდნელად თითქოს ცა გაიხსნაო, თვალისმომჭრელი ღვთიური შუქი გადმოიფრქვა და ჭაღარა კავკასიონის მწვერვალებს შარავანდედივით თავს დაადგა. საიდანღაც ზარების რეკვაც მოისმა. პირზე ღიმილგადაფენილი ბიჭი ცას მიშტერებოდა და ვეღარ გრძნობდა ხანძრის მხურვალებას. ისე დაიწვა და დაიფერფლა, სახიდან ღიმილი არ მოშორებია. მერე ღვთიური შუქი ნელ-ნელა მიმქრალდა, ცა მოიქუშა, ღრუბლები მოჯარდნენ, ქარმა დაიქროლა და მთელ საქართველოს გადააყარა პატარა იმედას ფერფლი. ხალხი აგროვებდა მას და სასოებით ინახავდა გულში, ვინ იცის, როდის გამოადგება შთამომავლობასო.

დღეს თითოეული ქართველის გულშია ამ ფერფლის ნაწილი. თუ დასჭირდათ, შეერთდებიან, ფერფლიდან ცეცხლად აენთებიან და იმედასავით მამულს შეეწირებიან მსხვერპლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდიდარია საქართველო

დავით ჯავახიშვილი

მდიდარია საქართველო,
დღესდღეობით რაც არის,
ისტორიულ მეგლებით და...
ისტორიულ ნაცარით.
ცეცხლმა ბევრჯერ გადაბუგა
ეს ქვეყანა ეოველი,
მაინც თავის ადგილზე დგას
ჯვარი, სვეტიცხოველი.
თუმც **ხახული** დავკარგეთ და
გაღმა დაგვრჩა **ოშკი,**
მრავლადაა მაინც ჩვენში
ტაძარი და კოშკი.
მაინც შერჩა კლდეს **ვარძია,**
ლოდს შემორჩა **წუნდა...**
ავბედობის უტევ მოწმეებს
გაფრთხილება უნდა!
მრისხანების ქროდა ქარი,
იეო სისხლის თქეში
კვეტარის და **ზედაზნის** და
ქვათახევის ტეეში.
და რაც მტერმა ვერ მოასწრო,
ჩვენ ნუ ვიზამთ იმას:
ნუ დავანგრევთ, რაც გადურჩა
ქარცეცხლსა და წვიმას!
ნუ დავჯღაბნით წმინდა კედლებს!
ნუ წავბილწავთ ხატებს!
მოვუშუშოთ ჭრილობები
გრემს, ალავერდს, ატენს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაურობა უდაბნოში

ირგვლივ ქვიშა, ქვიშა, ქვიშა...
მზე აცხუნებს მწველი,
ქვას ნახავ და ვერ აიღებ,
დაგეწვება ხელი.
თუ ქვა ქვაზე ვერ დაადე,
აშენდება დაბა?
უდაბნოა ამიტომაც,
რა იქნება, აბა?!
არსად ჭა და არსად წყარო,
დაიხუთო ლამის,
იმედიღა გასულდგმულებს
დილის ცვრის და ნამის.
ჰორიზონტზე სარკესავით
გაიელვებს წყალი,
ნუ უჯერებ, მირაჟია,
ტეუის თურმე თვალი.

წუთი წუთს სდევს აქლემივით,
გადის დრო და ხანი,
მიირწევა ერთფეროვან
დღეთა ქარავანი.
მექარავნემ იცის მხოლოდ
უხილავი გზები,
შენ კი, აბა, სხვა რა გზა გაქვს,
კვალში ჩაუდგები,
ის გაგიყვანს სამშვიდობოს,
მწვანესა და გრილში,
წყალს დალევ და სულს მოითქვამ
ოაზისის ჩრდილში.
დაღამდება. აცივდება.
თვალს მილულავ შვებით,
ხვალ კი ისევ ქარის წაშლილ
ბილიკს გაუყვები.

მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

ტყეკაფი

კარლო კობერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვას — ტყეკაფს — ჯერჯერობით ვერც ერთ ლექსიკონში ვერ შეხვდებით, არადა, მეცნიერები უკვე ხმარობენ და ხალხშიც ხშირად გაიგონებთ, უფრო — სოფლებში.

მოდი, გავარკვიოთ რას ნიშნავს. იგი ორი სიტყვისაგან შედგება: ტყე და კაფვა. ასეთ სიტყვას მეცნიერული ტერმინით კომპოზიტი ეწოდება, ანუ სიტყვა, რომელიც შედგება ერთზე მეტი ფუძისაგან.

ახლა მისი შინაარსიც ავხსნათ. ესეც ადვილია. სოფელს ყოველთვის სჭირდება ტყე: შეშა უნდა, ფიჩხი, სარი, საშენი მასალა, ჭიგო, წნელი... ხილიც (ტყის ხილს, ხომ გახსოვთ, ხიჩატელი ჰქვია).

ადრე, როცა ბევრი და დიდი ტყეები გვქონდა, თითქმის ყველგან შეიძლებოდა ხის მოჭრა. მერე კი, როცა ჩვენი დაუდევრობით ტყე შეცოტავდა, კანონმა ბრძანა: ეს სადაურია, ჩვენს მშვენიერ ტყეებს ჩვენვე გავუხდეთ მტრად, ერთი მხრიდან მივყვეთ და გავჩეხოთ. ხომ გავაჩანაგებთ იქაურობას და აღარც ტყე ერქმევა. ამას შერჩევით ჭრა ხჯობიაო.

ამიტომ ყოველწლიურად გამოყოფენ ხოლმე ტყის ნაწილს, სადაც მოსაჭრელად შეარჩევენ და დანომრავენ ხოლმე ძირითადად გადაბერებულ, ავადმყოფ ხეებს. აი, ტყის ასეთ ნაკვეთს ჰქვია ტყეკაფი. რაკი მოსაჭრელი ხეები შედარებით ცოტაა, ამიტომ ტყეკაფი ყოველწლიურად იცვლება.

დიდი, უსიერი ტყეები რომ გვქონდა, გვეგონა, არ გამოილევაო, არ ვუფრთხილდებოდით და, მართალია, მთლად არ გამოგვეცალა ხელიდან, მაგრამ ისე კი შევაცოტავეთ, ახლა ლამის თითოეულ ხეს დავკანკალებთ — ვეფერებით, ვუვლით, ვიცავთ.

ტყეს რომ ვახსენებთ, მაღალი, დიდი ხეები გვახსენდება თავისთავად: აუჰ, სადამდე აუსროლიათ კენწეროები, ამაზე უთქვამთ, ცას ებჯინებიანო! ამ ვეება ხეების ქვეშ რომ გაივლი, უნდა იფრთხილო, თორემ სოკოს დაადგამ ფეხს. ზოგი სოკო ისე ჩამალულა ნეშოში, გეცოდება — კალათაში ჩასადებად ვერ იმეტებ, სიცოცხლე ძალიან, ძალიან რომ არ ეტკბილებოდეს, რატომღა დაიმალებოდაო.

იქაურობა სავსეა ათასნაირი ფრინველის გალობა-ჭიკჭიკით.

ვინა თქვა, ბელებს ჭკუა არა აქვთო? ჭკუა რომ არ ჰქონდეთ, რაღა მაინცდამაინც დახუნძლული პანტის ქვეშ ბუღრაობენ? ერთი ბელი პანტას კი არა, დაფუტუროებულ, კოდალების დაჩვრეტილ წიფელზე აებღოტა — არ ჩამოვარდეს მაინც! დედა დათვი კიდევ ვეებად გატყლარჭულა და მშვიდად ასჩერებია ბელს. დედას დამიხედე, ე?!

ერთგან ზღარბი დასუნსულებს წივანა ბალახებში. სხვაგან — გაქუცული ტურა ეპარება რაღაცას.

ბალახს წიწკნის შველი, თან ყურს აჰყრის ხოლმე, დაცქვეტილი იხედება აქეთ-იქით, გაღმიდან გამოვექეცი მგელს, გამოღმა არ მომიხტესო.

ზედ ნაკადულთან მამალი ხოხბები ჩხუბობენ. ხოხბებს აქ რა უნდათ, კაცო, ახლა ან წვრილიანში უნდა იყვნენ, ან ჭალაში, ანდა მინდორში! მინდორი თუ ჰქვია, სახნავ-სათესიც არის იქა, ვენახიც, ბარდები კიდევ, — რამდენიც გინდა!.. ჰო-ჰო, როგორი დაუნდობელი ჩხუბი იციან მამალმა ხოხბებმა! — ვიდრე ქანცი არ გაუწყდებათ, ვიდრე გატოკება შეუძლიათ, მანამდე იწევენ ერთმანეთზე ჩასანისკარტებლად. შორიახლო, მოფარებულში დაყუნცულა მელია, ენას აწკლაპუნებს, თან კვდება სიცილით — ჯერ კიდევ უარესად დაიქანცონ ჩხუბით, მერე ორივეს ვტაცებ პირსა და გავაცუნცულებო... თუ მონადირემ მიასწრო, როგორ გააცუნცულებს, იმასაც ვნახავთ! მაგრამ ხოხბებს მაინც არაფერი ეშველებათ.

ჰო, უყვავილებოდ სად გაგონილა ტყე! ვიდრე ფოთოლი არ გასცვივა ხეებს, ესე იგი ვიდრე ფოთოლცვენა არ ჩაივლის, ყოველთვის იპოვით ტყეში ყვავილს. ყვავილს რა გამოლევს ტყეში!

მაგრამ ყველა ტყე ერთნაირი არ არის, არც ყველა ტყეშია ერთნაირი ნადირი. აკი ანდაზაც ამას გვეუბნება: როგორიც ტყე იყო, ნადირიც ისეთი გამოდიოდაო.

რაკი სხვადასხვანაირია ტყე, სახელი რატომღა ექნებათ ერთნაირი?

მდინარის ნაპირებზე რომ ტყეა — ის **ჭალაა**,

ნორჩი, ახლადწამოშლილი ტყე — **შიმლიანი**, **ტყეწვრილი**,

დიდი და ხშირი ტყე — **უსიერი**, **ულრანი**,

გაუჩეხავი ტყე, ჯერ საჭრელი რომ არ დაჰკარებია — **უდაბური**,

ტყე, სადაც არაფრის მოჭრა არ შეიძლება, ანუ რომელიც დაცულია — **ნაკრძალი**,

სასარე, საჭიგოე, საფიჩხე ტყე — **ნაკაფი**, ანდა **საკაფი**,

მინდორსა ან ფერდობებზე შეჯგუფული ხეები — **კოროომი**,

მუხის ტყე — **მუხნარი**,

წაბლისა — **წაბლნარი**,

ფიჭვისა — **ფიჭვნარი**,

წიფლისა — **წიფლნარი**,

თხილისა — **თხილნარი**...

ბოლოს და ბოლოს ყველა მე ხომ არ უნდა ჩამოვთვალო, დიდი ამბავი, თქვენც თუ ჩაიხედავთ ლექსიკონებში!

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ჯოცო და გვანცა

მოგზაურობა ისტორიაში

ავტორი – გია ლაფაური

X საუკუნის II ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს უკიდურესი სამხრეთი – ტაო-არტაჰანი. მეფობდა ამ დროს დავით III აუღლი. ეფთიმეს ლავრის ეკლესია ენვენენ ბიზანტიელნი...

საქართველო და ბიზანტია (1013 წლის წიგნით)


ბეჭის, შენი მეომრებით
ზურგიდან შეუტიე!



შენ ადე, ღაბაისხანებული
საბრიანოს ბარბის!

მიბრძანებია, ყველას, ქართველი იქნებაა, ბერძენი თუ სპარსი, ღანგარებს ხელი გავუწოდოთ!

ღიღაცი ნაღავი შენგვეხიან ქართველ მეომრებს.
თოხნიკას კი თავისი წილი საბრძანებოში, ათონის მთაზე ივერთა მონასტრისთვის შეუწირავს.

ნიკოფსია
საქართველო X საუკუნეში
ზიბეთი
ბედია
ლიხი
ქუთაისი
ჭყონდიდი
უხანი
ვანი
ბაღდათი
ზუბანა
ზარბილი
ბიჭვინთა
ბიჭვინთა
ბოლნისი
ბაქი
ოფი
ბანა
ბოლნისი
ბოლნისი
ბიზანტია
ბაბანა
ბაქანი
ხიბეთი
ხიბეთი

ეს კი ის მიწებია, ღავით აღმაშენებლმა რომ შემოუერთა საქართველოს ამ გრძელ შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარის ლექსი

ციცა ქიტიაშვილი

დარო,
დარიკო,
დარია
მუდამ ჰირმოცინარია,
შვიდფერა ცისარტყელაზე
მტრედივით ჩამომჯდარია.
ნეტავი რად ელიმება,
ნეტავი რა უხარია,
წვიმის წვეთი და მზის სხივი
რომ მისი მეგობარია.
ცვარდაჰკურებულ ლურჯ ბალახს
მინდორი დაუფარია,
ჯრელ-ჯრულ ევავილებს აღელვებს
ნაზი ფრთის ნიავქარია.
დარო,
დარიკო,
დარია
განა უბრალო ქალია,
სითბო-სინათლით ავსილი
ზეცის კეთილი თვალია.

დოვინ დოვენ

ბიძინა მინდაძე

ისე ცხელა, რომ მზე ცაში
იწურება ოფლით.
დოვინ, დოვენ, მოიუვანე
ვარდისფერი თოვლი.
რა ჯობია დოვინ, დოვენ,
ვარდისა და იისფერს...
ანდა იქნებ წამიეოლო
კიდეც ბეთანიისკენ.
დოვინ, დოვენ, დოვინ, დოვენ,
ანბანივით მახსოვს:
მცირე ტეეში ერთი ლექსის
დიდი სამოსახლო.
დოვინ, დოვენ, რა ჯობია
ვარდისა და იისფერს...
ანდა იქნებ, იქნებ, იქნებ,
იქნებ... ბეთანიისკენ...

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ГИГО

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბეზე ცუქცუქით ამოდიოდა კაფანდარა გიგო. მაწვნის ერთი ქილა მკერდზე ჰქონდა მკლავით მიკრული, მეორე — იმავე ხელით ციმციმ ამოჰქონდა. აივანზე ნებივრად გაწოლილი მწევრები ზედაც არ უყურებდნენ. გიგოსაც უხაროდა, თავი შინაურად მოჰქონდა, თუმცა ძალიან მორიდებული კი იყო. ამოიტანდა თიხის ყელმოღერებულ ქილებს, აივნის მაგიდაზე დააწყობდა, სანაცვლოდ — გამოსვლეპილებსა და გამოსუფთავებულებს — გულში ჩაიკრავდა, ისევ ცუქცუქით დაეშვებოდა კიბეზე, მაგრამ, უკან გაბრუნებისას უსათუოდ შეჰყვირებდა მჭახე ხმით — „მაწონიი“!

ძაღლები ახლა კი წამოსწევდნენ თავებს, ყურებს დაცქვეტდნენ, თვალს გააყოლებდნენ გიგოს და თითქოს ქოქოლა მიაყარესო, ისე გასწევდნენ განზე გრძელ-გრძელ ცხვირებს.

გიგომ ფეხაკრეფით სიარული იცოდა, მაგრამ გავიგონებდი თუ არა მის შეძახილს, წამში კართან გავჩნდებოდი და მივესალმებოდი.

— გამარჯობა, ძია გიგო! — შევღიმებდი, მგონი ჩემს გარდა მთელ სოფელში ძიას არავინ ეძახდა.

— შენ კი გაიხარე და სულ გამარჯვებით იარე, აჰა! — თვალებმოჭუტული მომღიმარ სახეს ჩემკენ მოაბრუნებდა. — გემრიელი იყო, გენაცვალე, გუშინდელი მაწონი?! — ენას მომიჩლიქავდა. როგორ არ სწყინდებოდა ერთი და იგივე შეკითხვის მოცემა, მაგრამ სხვა რა უნდა ეკითხა ნეტავ?

— დიახ, ძალიან გემრიელი, ძია გიგო. ხვალაც მოხვალ? — მეც რომ არ მწყინდებოდა ერთი და იგივე შეკითხვის მიცემა.

— მოხვალო? მოვალ და მერე როგორი სირბილით, ყველაზე სავსესა და ყვითლად თავგადაპრიალებულ ქილას კი არ მოგირბენინებ? — კიბიდან თავს ამოჰყოფდა, ხელს დამიქნევდა და დაეშვებოდა.

გიგოს წვრილშვილი ჰყავდა და რას აღარ აკეთებდა ოჯახის სარჩენად. მაწონსა და რძეს ხომ ჰყიდდა და ჰყიდდა. ტყიდან გამოტანილი, გუდურებად შეკრული შეშა და ფიჩხი ქალაქში ჩაჰქონდა. პანტასა და ასკილს გასახმობად მზის გულზე აგორავებდა, შვინდის კერკს ლასტებზე აშრობდა და მერე ისიც ქალაქის ეზოებში დაჰქონდა გასაყიდად.

ზაფხულში თავის ერთადერთ ვირს ჭრელი, ზანზალაკებით გამოწყობილი გარსაკრავებით მორთავდა, გრძელწამწამებიან თვალებამდე წითელფოჩებიან საშუბლეს გადააკრავდა, სახრეს მხარზე გაიდებდა, კოჯრის შარაზე გავიდოდა და გაყვიროდა — „ნაკრაპატ“! „კოხტა ვირი, მარდი ვირი ნაკრაპატ“! (ასე ამახინჯებდა რუსულ სიტყვას „ნაპრაკატ“ — „ქირავდებაო“!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირით სეირნობა „ნაკრაპატ“, ფოსტიდან სამხედრო დასახლებამდე, ათი შაური ღირდა. მდიდარი მოაგარაკეები რატო ორჯერ და სამჯერ არ ასეირნებდნენ შვილებს, მაგრამ მერე რიგში ჩამდგარი ხალხი ისე აყაყანდებოდა, სხვა რა გზა იყო — ფეხებაფარჩხალებული, აღრიალებული ბავშვი ძალით უნდა გადმოეთრია პატრონს სახედრის კოხტა თალანიდან.

— სხვა კაცია გიგო, — ამბობდა ხალხი. — ნახე, ეს ღატაკი კაცი რას სჩადის. თავშესაფრის ობლებს უფულოდ ასეირნებს თავისი ვირით.

— ღობეზე მომდგარი საცოდავი ობლები სულერთიანად ქუჩაში გამოიყვანა და რიგრიგობით ორ-ორს ასეირნებს. ყოჩაღ, კაცო?! — მგონი ცრემლი მოერია დიდედას.

ერთ დღეს ბიძაჩემი პაპუნა ქალაქიდან ამოვიდა. ძალიან გავიხარეთ, მაგრამ იმან უფრო გაგვახარა, ქაღალდი რომ შემოხსნა პაწია თიხის ბიჭუნას და მაგიდაზე დადგა.

მემაწვნე ბიჭუნა სულ ერთი მტკაველა თუ იქნებოდა. ძალიან მრგვალ თავზე კახური ქუდი ეხურა, სწორი თმა წარბებამდე ჩამოშლოდა. დიდრონ შავ-შავ თვალებს აბრიალებდა. ლოყები თურაშაული ვაშლივით დაჰბრაწოდა. ტანზე შავი შარვალ-ხალათი ეცვა. ჩაღილული ხალათი გადახსნოდა და ვარდისფრად დაწინწკლულ ჩითის პერანგზე შავი ძაფით დაკერებული ფოლაქი მოუჩანდა. განიერი შარვალი თეთრ წინდებში ჰქონდა ჩაკრული და ფეხზე მრგვალცხვირიანი, დაკერებული ჩვიტები ეცვა. ბიჭუნას ცალ ხელში კოპწიად წელში გამოყვანილი მაწვნის ქილა ეჭირა, მეორეში — სახრე.

მთელი ოჯახი ისეთი სულგანაბული შევყურებდით ბიჭუნას, თითქოს ველოდით, როდის შემოგვყვირებდა — „მაწონიი“.

როგორც კი დროს მოვიხელთებდი, თიხის ბიჭუნას ხელში ცოცხალივით ავიყვანდი, ჩურჩულით ვეალერსებოდი, ჩვრით ვწმენდდი, ვაკრიალებდი! ვევედრებოდი, ხმა გაეცა ჩემთვის, მაგრამ ბიჭუნას ჯიუტად მოეკუმა ტუჩები და დიდრონი შავი თვალებით ალმაცერად შემომცქეროდა.

ერთ დილით რაღაც ფაჩუნი მომესმა, მოვიხედე და რას ვხედავ, გიგო ამოცუქცუქებულა და ღია კარს მოსდგომია, ჩემს ჩურჩულს გაოცებული უსმენს.

— ძია გიგო! — შევცინე, მაგრამ ისეთი გაოცებული თვალები ჰქონდა, ღიმილი შემაშრა სახეზე. ბიჭუნა უფრო მაგრა მივიკარი გულზე და გიგოს მივუახლოვდი.

— ეგრე გიყვარს, შვილო? — გაეღიმა. — ყოველ დილით გხედავ, როგორ დაჰკანკალებ თავზე, მაგრამ მე მეგონა დედოფალას უნანავებდი.

გიგომ კისერი წაიგრძელა, უფრო ახლოს მოვიდა და ისე დააცქერდა თიხის ბიჭუნას, როგორც

კატები შეჰყურებენ საკუთარ ანარეკლს სარკეში. მერე, თითქოს გამოერკვაო, საქციელწამხდარმა, ოდნავ გამიღიმა, უხმოდ მიტრიალდა და წავიდა.

ორი დღე მაწონი კი გვხვდებოდა მაგიდაზე, მაგრამ თვითონ გიგო თვალით აღარ მინახავს. სამაგიეროდ, მესამე დღეს კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. იმ წამს გამოვაღე და გიგომ შემომღიმა. დარცხვენილ ხორბლისფერ სახეზე ალმური ასდიოდა და თვალს ვერ მისწორებდა.

— მობრძანდი, ძია გიგო. — ვუთხარი გახარებულმა.

— აი, გენაცვალე, მაწვნები იქ დავაწყვე... — თვალით მანიშნა, ცალი ხელი ზურგს უკან ეჭირა, ეტყობოდა, რაღაცას მალავდა.

— მობრძანდი, — ახლა დედამ შემოიპატიჟა.

— არ კი გეწყინოთ, თქვენ შემოგევლეთ. პატარა ქალს მოვუტანე საჩუქარად ჩვენგან... — ჩემკენ გამოიხედა და გამიღიმა. ქალამნიანი ფეხები ისე აამოძრავა, ვერ მივხვდი, წასვლა უნდოდა, თუ არა. ოთახში მძიმედ შემოიტანა მხრები, თითქოს კარში არ ეტეოდა და ვიღაც ზურგიდან აწვებოდა. პირდაპირ სასადილო მაგიდისაკენ წავიდა და რაღაც აპრეხილი, კარგა მოზრდილი მუყაოს ნაჭერი დადო.

— რა ლამაზია!— დავხედე მუყაოს და შევყვირე, — ზუსტად ჩვენი ბიჭუნაა.

მუყაოზე თიხის ბიჭუნა დაეხატა გიგოს ნახშირით.

— მოგეწონა!? — გაიხარა გიგომ. ჩემს სახსოვრად გქონდეს... — თავზე ხელის გადასმა დამიპირა, მაგრამ ხელი ისევ უკან წაიღო და სახეზე ჩამოისვა. მერე დედას თავმდაბლად გამოემშვიდობა და წავიდა.

დედამ დიდი მადლობა გადაუხადა, გიგომ დაირცხვინა და ოთახში შემოსვლისას თავიდან მოხდილი ქუდი, დაბნეულობისაგან, ჯიბეში ჩაიტენა.

გავიდა დრო. თიხის ბიჭუნა დიდხანს ამშვენებდა ჩემს მაგიდას, მერე ისიც ისე გაქრა, როგორც ბევრი ახლობელი ადამიანი. გიგო ალბათ ომში დაიღუპა. მისი ნახშირით დახატული მემაწვნე ბიჭუნა მანამ ეკიდა კედელზე, სანამ სულ არ ჩამოსცვივდა ნახშირის მტვერი და მისი შეხედვით მხოლოდ გულის ტკენას არ იგრძნობდა ადამიანი.

არა უშავს, ასე ვიმშვიდებ თავს, სამაგიეროდ, ჩემს მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლებიან ისინი და, რაც დრო გადის, უფრო ნათლად ვხედავ, როგორ დგანან ცისფერი ნისლით დაფარულ წარსულში, ოქროსფერი შარავანდედით შემკულნი.

თავსაც უნდა გერჩიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი გაბრიჩიძე

ხომ შენია არაგვი,
ალაზანი, სტორი,
უნდა დასტრიალებდე
მამულს, როგორც ქორი.
გოჯიც არ დაანებო
ვინმეს ქართულ მიწის,
თორემ დაიტაცებენ,
დაგაყრიან სიცილს.
მერე რა, რომ ბალღი ხარ,
მთავარს გეტყვი ბარემ:
თავსაც უნდა გერჩიოს
მშობლიური მხარე...

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

რა ფერი წყალია შავ ზღვაში

ზღაპრის გმირს თუ ზღვა აქვს „წინათ სავალი“,—ეს ლურჯი ზღვაა; თუ ზღვაზე რამე სიმღერა ითქმის, აქაც მოლივლივე ლურჯ ტალღებს უმღერის ყველა...

მაგრამ, აბა თვალი გადაავლეთ მსოფლიოს რუკას — არც ერთ ზღვას არ ჰქვია ლურჯი ზღვა. სამაგიეროდ არსებობს შავი ზღვა, თეთრი ზღვა, ყვითელი და მეწამული ზღვაც კი. თუმც ყველა მეზღვაური ერთხმად გეტყვით, რომ წყალი შავ ზღვაშიც ლურჯია და მეწამულშიც.

მაინც საიდან ასეთი არევდარევა, რატომ არის, რომ შავი ზღვაც ლურჯია და მეწამული ზღვაც?

არ იფიქროთ, აქ არავითარი არევდარევა არ არის!

უბრალოდ მეწამულ ზღვაში ზოგჯერ ნამდვილად მეწამული წითელია წყალი, როცა მის ზედაპირზე მურაწითელი ფერის წყალმცენარეები დაცურავენ. ყვითელი ზღვაც მართლა ყვითელია, ოღონდ მარტო იმ ადგილას, სადაც შიგ ფართო მდინარე ხუანხე (ყვითელი მდინარე) ჩადინება — მას იმდენი სიმღვრიე ჩააქვს ზღვაში, რომ ზღვა ათეულ კილომეტრებზე მღვრიე-ყვითელი ხდება. ღია ზღვაში კი წყალი მაინც ლურჯია.

თეთრი ზღვა რატომღა არის თეთრი? იმიტომ, რომ ეს ზღვა ჩრდილოეთშია და ზამთარში ქათქათა თოვლითა და ყინულით არის დაფარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა შავი ზღვის შესახებ.

ათასობით ბავშვისათვის, რომლებიც ზაფხულობით მის სანაპიროზე პიონერულ ბანაკებსა და სანატორიუმებში ისვენებენ, შავი ზღვა ლამაზია, ალერსიანი, ლურჯი. მაგრამ ყოველთვის არა. ზამთარში მაინც, ცივი ქარები რომ დაბერავს და ტყვიასავით მძიმე, უზარმაზარი ტალღები რომ აგორდება ზღვის უკიდეგანო ზედაპირზე, იგი ჩამუქდება, ჩაბნელდება, ჩაშავდება, მკაცრი, მრისხანე, საშიში გახდება.

არსებობს მარმარილოს ზღვაც. შენ იქნებ გუნებაში გაიფიქრე, რომ მზეზე ტალღების თამაშისას წყლის ფერი იცვლება-მარმარილოსავით ხან რუხია, ხან ვარდისფერი, ხან ნისლისფერი. მაგრამ, არა: ამ ზღვაში არის ერთი კუნძული, სადაც უძველესი დროიდან მოიპოვებდნენ მშვენიერ მარმარილოს და გემებით გაჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებში — ამიტომ უწოდეს მას მარმარილოს ზღვა.

სხვადასხვა კუნძულთა სახელწოდებების მიხედვით დაერქვათ სახელები გრენლანდიის, იაპონიის და სხვა ზღვებსაც. ოხოტის ზღვას მდინარე ოხოტი ერთვის, — ამიტომ ჰქვია ეს სახელი.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

ზოგიერთ ზღვას ცნობილ ზღვაოსან მოგზაურთა სახელები დაერქვა. ასეთებია: ლაპტევების ზღვა, ბერინგის ზღვა, ბარენცის ზღვა.

ზღვებზე ხშირად ხატოვნად ამბობენ „უნაპიროაო"; სინამდვილეში ყველა ზღვას აქვს ნაპირი. ყველას, ერთის გარდა. ეს საოცარი ზღვა ატლანტის ოკეანის თბილ წყლებში მდებარეობს. მისი საზღვრები ხმელეთი კი არ არის, არამედ საოკეანო დინებები — წყლის მძლავრი ნაკადები. ზოგი დინება თბილია, ზოგი — ცივი. გემბანიდან ისინი არ ჩანან, თვითმფრინავიდან კი უცებ შეამჩნევ, რადგან სხვადასხვა დინების ადგილას წყალს სხვადასხვა ფერი აქვს. ზღვის ყველა დინება დატანილია გეოგრაფიულ რუკებზე, მათ რიცხვში ის დინებებიც, რომლებიც შემოსაზღვრავენ სარგასის ზღვას.

თურმე როცა ცნობილი ზღვაოსანი ქრისტეფორე კოლუმბი (რომელმაც ამერიკა აღმოაჩინა) თავის იალქნიანი გემებით — კარაველებით ატლანტის ოკეანეში მიცურავდა, ერთხელ მეზღვაურებმა სიხარულის ყიჟინა დასცხეს: „ხმელეთი! ხმელეთიო"! მაგრამ ის, რაც მათ შორიდან მიწა ეგონათ, სინამდვილეში წყალმცენარეები იყო. ირგვლივ იმდენი წყალმცენარე დაცურავდა, რომ „ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ", ზოგან მწვანე ხალიჩით გეგონებოდა დაფარული. ასეთ წყალმცენარეებს მეცნიერები სარგასებს უწოდებენ. ამიტომ თვით ამ მართლაც უნაპირო, საოცარ ზღვას „სარგასის ზღვა" უწოდეს.

19037

რომელი ცხოველია ყველაზე მტაცებელი

თითქმის ყველანი ასე გვიპასუხებენ:

— ლომი, ვეფხვი, ჯიქი, ფოცხვერი, მგელი.

რაკი ლომით იწყებენ, ჩვენც ლომით დავიწყოთ. ნადირთა დიდებული მეფე რომ კარგად დანაყრდეს, 20 კილოგრამი ხორცი უნდა მიირთვას. თავისი ნანადირევის დარჩენილ ნაწილს, მაგალითად, ვეება ფურკამეჩს, ის ადგილზევე ტოვებს, აფთრებისა და ტურების საძიძგნად. თვითონ კი მახლობელ ჩრდილს მიაშურებს, იქ დაწვება და ნელ-ნელა იწყებს შეჭმულის მონელებას. ეს მონელება კი, — რაკი ლომი ლუკმას არ ღეჭავს, — დიდხანს გრძელდება, ასე 2-3 დღეს. გამოდის, რომ ლომს დღეში 10 კილოგრამი საკვები ჰყოფნის. ეს კი ძალიან უმნიშვნელო წონაა მის ვეება სხეულთან შედარებით.

ვეფხვიც ძალიან თავშეკავებით იკვებება.

ჯიქები, ფოცხვერები და მგლებიც არ არიან ისეთი უძღებნი, როგორც ზოგადი წარმოდგენა არსებობს მათზე. მართალია, ისინი ხშირად ებრძვიან ერთმანეთსაც კი, ღვრიან სისხლს, მაგრამ მათი ბრძოლები თითქმის არასოდეს მთავრდება დამარცხებულის სიკვდილით. საკმარისია, დამარცხებულმა ზურგი აჩვენოს მოწინააღმდეგეს, რომ ბრძოლა წყდება.

მაგრამ არის ცხოველი, რომლის დაუნდობლობა და მადა გააოცებდა ვეფხვებს, ჯიქებს და მგლებს, გაოცება რომ შეეძლოთ. ეს ცხოველი ჩვეულებრივი თხუნელაა — გატიკული, ნახევრად უსინათლო, მუდამ მიწაში ჩამალული თხუნელა. საკმარისია, თხუნელები ერთმანეთს შეხვდნენ მიწაში, მაშინვე იწყებენ ბრძოლას, და ეს ბრძოლა უეჭველად ერთ-ერთი მათგანის დაღუპვით უნდა დამთავრდეს.

თხუნელა უძღებია. დღე და ღამეში ის იმდენს ჭამს, რამდენსაც თვითონ იწონის.

თხუნელა დღისითაც ნადირობს, ღამითაც. იკვებება მატლებით, ჭუპრებით, მაგრამ თუ ზამთრის ძილს მიცემულ ხვლიკსაც გადააწყდა მიწაში, იმასაც სწრაფად მოუღებს ბოლოს. ჭამს მიწაზე მობინადრე ჩიტების ბარტყებსაც.

კიდევ უფრო ღორმუცელა და ხარბია მიწითხარია-ბიგა. ის დღე-ღამეში თავის წონაზე 4-ჯერ მეტ საჭმელს ნთქავს.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

დიდბუნებოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი გერმანელი პოეტი ფრიდრიჰ შილერი, პატარაობისას, ერთ სადღესასწაულო სუფრაზე მთლად ახალი ტანსაცმლით გამოცხადდა. მხოლოდ ფეხსაცმელი ეცვა ძველი. ძალიან კი ცდილიყო გაეპრიალებინა, მაგრამ დედამ მაინც მაშინვე შეამჩნია და ჰკითხა, — რატომ ფეხსაცმელიც ახალი არ ჩაიცვიო.

— ახალი ფეხსაცმელი ერთ ჩემს ამხანაგს ვაჩუქე.

— რატომ მაინცდამაინც ახალი?

— აბა, ძველი ხომ თვითონაც ჰქონდა. — მიუგო ფრიდრიჰმა.

სასტუმროში

დიდმა ამერიკელმა მწერალმა მარკ ტვენმა სასტუმროს შთაბეჭდილებათა წიგნი გადაათვალიერა და ბოლო სტრიქონი ამოიკითხა: „ბარონი ჯონ ბლანკი მსახურით“. ამის ქვემოთ თვითონ ჩაწერა: „მარკ ტვენი ჩემოდნით“.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ჩვენი ჟურნალის № 6-ში გარეკანზე გამოქვეყნებულ მიმართვაში მკითხველებისადმი გაპარულია შეცდომა: ქვევიდან მე-5 სტრიქონი უნდა წაიკითხოთ ასე: ნაზე 3 ინტერვალით გადაბეჭდილ 4 გვერდს).

ᲐᲮᲡᲐᲠᲘᲗᲮᲐᲠ

ᲨᲝᲗᲐ ᲮᲝᲓᲐᲨᲜᲔᲚᲘ

ბინადრობს კლდეში, იქ, სადაც
მთებია ცამდე აწვდილი.
ფრინველთა მეფეს, სასწრაფოდ
მითხარ, რა ჰქვია? .....

ეროვნული ეკლები

ეს დიდი ქართველი პოეტის საქვეყნოდ ცნობილი პოემის ერთ-ერთი ილუსტრაციაა.

ვინ არის ეს პოეტი, რა არის პოემის სათაური? რა ჰქვიათ ამ სურათზე გამოხატულ გმირებს? პოემის კიდევ რომელი მოქმედი პირების სახელები იცით? ვინ არის ამ ილუსტრაციის მხატვარი? კიდევ რომელ მხატვარს აქვს დასურათებული ეს პოემა?

რამდენი შეკითხვა დაგისვით ერთბაშად! აბა, თუ უპასუხებთ!

დილა

საქართველოს ალკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ.მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 20.04.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.06.89წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა №1022

ყდაზე ნახატი
ედუარდ ამბოკაძისა

«Дила» («Утро») — ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского еспубликанского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Реваз Инанишвили (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №1022

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი **ნანა იოსელიანი**

რა გზებით ჩამოფრინდნენ პატარა კოსმონავტები დედამიწაზე?